

ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და ასოცირების შესახებ შეთანხმება

პოლიტიკის დოკუმენტი

ენიანიტყვაობა



სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი

პუბლიკაცია მომზადებულია სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის პროექტის – „ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის ხუთი სფეროს სამოქალაქო მონიტორინგი“ – ფარგლებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

ავტორი:

არჩილ ყანჩაველი *

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

რედაქტორი:

ნესტან ჩხიკვაძე



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება საქართველო

პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების VI კარის (თანამშრომლობის სხვა სფეროები) მე-16 თავი განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობას ახალგაზრდობის სფეროში.

აღნიშნული შეთანხმებით მხარეები ხელს შეუწყობენ: ა) თანამშრომლობასა და გაცვლებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, ასევე, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში; ბ) ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდასა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას (მუხლი 360).¹

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგ² 2014-2016 ითვალისწინებს:

- ერთობლივი სამუშაოსა და გაცვლების განხორციელებას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ბოლონის პროცესში საქართველოს მონაწილეობის კონტექსტში საქართველოს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხელშეწყობის ჩათვლით;
- აკადემიური თანამშრომლობის, შესაძლებლობების განვითარებისა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას ახალი Erasmus+-ის პროგრამისა და მკვლევართა მობილობისა და ტრენინგის მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამის მეშვეობით;
- ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი სტრატეგიული მიდგომის წახალისებასა და ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთათვის არაფორმალური განათლების სფეროში გაცვლებისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, როგორც კულტურათაშორისი დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის საშუალებას, მათ შორის ახალგაზრდობის სფეროში ევროკავშირის პროგრამების მეშვეობით.

* არჩილ ყანჩაველი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) დამფუძნებელი და მოქმედი აღმასრულებელი დირექტორია. სამოქალაქო სექტორში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდულ თემატიკაზე მუშაობის 10 წლიანი გამოცდილებით.

2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის №533 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“³. ის კონცეპტუალურ დოკუმენტია, რომელიც წარმოადგეს მთავრობის მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების საფუძველს და რომლის მიზანია ხელი შეუწყოს შექმნას ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოსი, რომელშიც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

ზემოხსენებული დეკლარებული მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკა უზრუნველყოფს:

1. საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობას;
2. ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში;
4. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მათი უფლებების დაცვასა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA) შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემადგომში გაფართოვდა და მოიცავს სხვა სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მკვლევრები. ეს იყო ძალიან ინკლიზიური და მისასაღებელი პროცესი.

2015 წლის 5 მარტის საქართველოს მთავრობის №349⁴ განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.)“⁵. ზემოხსენებული სამოქმედო გეგმა მოიცავს როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის თითქმის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ და დროში განერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება, ასევე ინდიკატორებს, დაფინანსების წყაროებსა და სხვა დეტალებს.

¹ <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

² http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf

³ http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf

⁴ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2766763>

⁵ <file:///C:/Users/User/Downloads/matsne-2766763-0.pdf>

ანალიზი

2016 წელს დაგეგმილი აქტივობები 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად⁶ მოიცავდა:

- ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებას;
- ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობას, სტუდენტების მობილურობის გაზრდას;
- ახალი Erasmus+-ის პროგრამის შესახებ ახალგაზრობის ინფორმირებას;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაცვლითი პროგრამების დაფინანსებას;
- უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოზარდებისთვის შემეცნებითი კონკურსებისა და ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზებას;
- მოხალისეობის მასობრივ პოპულარიზაციას, საქართველოს მასშტაბით მოხალისეობის კულტურის დამკვიდრებასა და სხვა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- დამტკიცდა ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სამოქმედო გეგმა;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დასრულდა მუშაობა კანონპროექტზე „ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შემუშავდა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი;
- ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ეფექტური კონტროლისა და მონიტორინგის განსახორციელებლად შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორი⁷, რომელიც 2016 წლიდან ფუნქციონირებს. სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გარდა, ვებგვერდზე განთავსებულია ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული კვლევები, პუბლიკაციები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- დასრულდა მუშაობა ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიაზე და შემუშავდა ახალგაზრდა მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ბაზის მეშვეობით სამინისტროსა

⁶ <http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20AA%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20-%2009.09.16.pdf>

⁷ მონიტორინგის ელექტრონული პორტალი www.youth.gov.ge

და რეგისტრირებულ ორგანიზაციებს შორის რეგულარულად გაიცვლება ინფორმაცია, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებს მაქსიმალურად ეწყობა ხელი. NGO ბაზაში დარეგისტრირებულია ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე 231 არასამთავრობო ორგანიზაცია;

- ყოველწლიურად ტარდება საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მომუშავე ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები, ექსპერტები ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობა, ასევე, განხილულ იქნა 2016 წლის 18 თებერვალს ქ. ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დარგობრივი ქვეკომიტეტის სხდომაზე. სხდომის ფარგლებში ევროკომისიამ პოზიტიურად შეაფასა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობა (როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე კონკრეტული პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით), ხოლო ქართულმა მხარემ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების სურვილი გამოთქვა.

აქვე მნიშვნელობანია აღინიშნოს, რომ 2016 წლის 29 აპრილს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა „ჰორიზონტი 2020“-ის ასოცირებული ნევრობის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების რატიფიკაციის მიზნით ხორციელდება შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურები. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში 2016 წელს გამოცხადებული კონკურსების შედეგების მიხედვით კომპონენტის „შესაძლებლობების გაძლიერება უმაღლეს განათლებაში“ მიმართულებით დაფინანსდა 9 პროექტი, რაც წარმოადგენს საუკეთესო მაჩვენებელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. ასევე, Jean Monnet პროგრამის მიმართულებით დაფინანსებულია 4 პროექტი, საერთაშორისო კრედიტმობილობის მიმართულებით – 99 პროექტი. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით (888 სტიპენდია) 2016 წელს მიღებული სტიპენდიების რაოდენობა გაზრდილია 1388-მდე. საქართველოში ერასმუსის პროგრამის ფარგლებში სწავლისა და მუშაობის მსურველთა რაოდენობა 2015 წლის შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (2015 – 191 ევროპელი სტუდენტი/პროფესორი, 2016 წელს – 510). ამ მონაცემებით საქართველო 74 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია. გაიზარდა Erasmus Mundus Joint Master Degree Programmes პროგრამებში ქართველი აპლიკანტების რაოდენობა: 2016 წელს – 237 აპლიკანტი და 15 დაფინანსებული სტიპენდიანტი.

2000 წლიდან ქვეყანაში შეიქმნა და ფუნქციონირებს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“⁸, რომლის მისიაა მხარი დაუჭიროს ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ინოვაციურ იდეებს, რათა წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასა და მუდმივ გაუმჯობესებაში.

⁸ <http://fondi.gov.ge/menuid/6/lang/1>

დასკვნა

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ხედვა აღიარებს ახალგაზრდობის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის დემოკრატიულ, სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებაში. სახელმწიფო ახალგაზრდულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელშიც მომავალი თაობა შეძლებს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

ახალგაზრდულ სფეროში შესრულებულია საკმაოდ მასშტაბური სამუშაო, რომელიც მოიცავს როგორც „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ შექმნისა და დამტკიცების, ასევე მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის არსებობას. ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულია ახალგაზრდული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები. ამავდროულად სახელმწიფო ფონდის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია მოქმედი კონკრეტული უწყებების არსებობა, როგორც მაკოორდინირებელი, ასევე მხარდაჭერის მექანიზმების შესაძლებლობა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აუცილებელია უზრუნველყონ როგორც მიმდინარე პროცესების მეტი გამჭვირვალობა, ასევე ამ პროცესში მხარეთა ჩართულობა. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს და გამოიკვეთოს კავშირი სტრატეგიულ ხედვას, არსებულ სამოქმედო გეგმებსა და განხორციელებულ საქმიანობასა თუ კონკრეტულ ინიციატივებს შორის.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში განერილი აქტივობები დროში საკმაოდ განელილი და არაკონკრეტულია (მაგ. 2016 – 2020), რამაც, შესაძლოა, გაართულოს მონიტორინგის პროცესი. ასევე, გეგმაში არსებული ინდიკატორები უნდა მოიცავდეს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული პარამეტრები. ეს კი მონიტორინგისა და პროგრესის კუთხით საკმაოდ რთული და არაგაზომვადია.

საქართველოს ახალგაზრდებისთვის უმთავრესი კვლავაც სამუშაო ადგილებისა და საზღვარგარეთ განათლების მიღების პრობლემაა.⁹

უმუშევრობის დონე (%)	2012 წელი – 29,3%	2013 წელი – 30,7%	2014 წელი – 27,1%	2015 წელი – 25,6%
----------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------

სამწუხაროდ, ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ აქვს ზუსტად ჩამოყალიბებული მკაფიო მიზანი, განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას არსებული შესაძლებლობების შესახებ და ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს საკუთარი თავის სწორად რეალიზებას. პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია საქართველოს რეგიონებში.

⁹ www.Youth.gov.ge

რეკომენდაციები

- მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ასოცირების ხელშეკრულების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ როგორც ქალაქების, ასევე რეგიონების ახალგაზრდობის ინფრომირებულობის დონის ამაღლება;
- მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დღეისათვის არსებულ პროგრამებთან (Erasmus +, Creative Europe, Horizont2020, სხვ.) და შესაძლებლობებთან დაკავშირებით ახალგაზრდობა უზრუნველყოფილი იყოს უფასო საკონსულტაციო სერვისით, ე.წ. მობილობის ცენტრით, რათა როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური მობილობის მსურველებსთვის ხელმისაწვდომი გახდეს ყველა საჭირო ინფორმაცია და გაენიოთ ტექნიკური მხარდაჭერა;
- არაფორმალური განათლების წახალისებასთან ერთად მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს არაფორმალური განათლების ფორმალური აღიარების საკითხი;
- მოხალისეობის წახალისება უმნიშვნელოვანესია აქტიური საზოგადოების ფორმირების პროცესში, თუმცა აქვე უნდა დაინერგოს სხვადასხვა ტიპის წამახალისებელი რეგულაციები იმ ორგანიზაციებისა და კომპანიებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერებას ქვეყანაში;
- უცხო ენების უფასო შემსწავლელი კურსების არსებობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სასრუველია სამოქმედო გეგმაში დაზუსტდეს და გაინეროს უფრო კონკრეტული ვადები, ინდიკატორების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- სასურველია საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს კანონპროექტის „ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ“ ძირეული განხილვა და ამავდროულად დაინტერესებულ მხარეთა და აქტორთა მაქსიმალური ჩართულობა.